MES 8 20 0001207498

17/12/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 7 დეკემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting https://us02web.zoom.us/j/86388164013
Meeting ID: 863 8816 4013

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიულისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს (შემდგომში-საბჭო) წ ევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;
მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, საბჭოს მდივანი;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ანა საბახტარიშვილი - ა(ა)იპ - ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;
ნოდარ მამინაიშვილი - აა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში,ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომად გენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოადგილე ;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა ბერიძე - რექტორი
ცისკარა ზარანდია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

თეიმურაზ ასათიანი - დირექტორი
ელისაბედ ებრალიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯ „მოდუსი“

კარლო კერვალიშვილი - დირექტორი
მადონა გოგობერიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

თამარ გელიაშვილი - დირექტორი
ლელა თვარაძე - იურისტი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონი“

რაინდი ლომაია - დირექტორი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნანა შარაბიძე
ალექსანდრე კეკენაძე
ნია გუგუნავა
ქეთევან ბოტკოველი
თამარ ახალაძე
მანანა კობალაძე
თამარ ახალაძე
ნაზო წიბლიაშვილი
ვანო ოთხოზორია

ქეთევან გელაშვილი
მანანა მოისწრაფიშვილი
ნინო ხაჩიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო - 16:11 საათზე

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მეფუტკრეობა“, „მეხილეობა“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, „თმის მომსახურება“, „სამკერვალო წარმოება“ და „მებოსტნეობა“ (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მეფუტკრეობა“ და „მეხილეობა“ (დაბა თიანეთი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
4. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „მებაღეობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა
5. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა
6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნანა შარაბიძემ, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ ალექსანდრე კეკენაძესთან და უმაღლესი განათლების ექპერტ ნია გუგუნავასთან ერთად. ვიზიტის მიზანი იყო სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგი. ექსპერტმა ისაუბრა მონიტორინგის საფუძველზე და აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამა მეორე სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგან 2.2. კომპონენტი შეფასდა მეტწილ შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება, აღნიშნული კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით. მან ასევე აღნიშნა, რომ დამატებით ექსპერტთა ჯგუფის წევრს ნია გუგუნავას დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების დროს გამოვლენილი გარემოებების საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება და დასკვნაში ასახვა.
ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე. წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა 2 რეკომენდაცია.
რეკომენდაცია 1, შეეხებოდა დაწესებულებაში ინტეგრირებული მოდულებისთვის შესაბამისი ლაბორატორიის მოწყობას.
რეკომენდაცია 2, შეეხებოდა ადამიანურ რესურსებს, ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს მათი გადამზადების პროცესის გაგრძელებას, ვინაიდან წარმოების პერიოდისთვის მასწავლებლებს მხოლოდ ერთი ტრენინგი ჰქონდათ გავლილი.

წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შემდეგ, ექსპერტმა საბჭოს შეახსენა, რომ საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2) კომპონენტი 7 ინდიკატორისგან შედგება და ითვალისწინებს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამაზე განსაზღვრულია კვოტა 28 პროფესიულ სტუდენტზე, მათ შორის 14 ინტეგრირებულზე, მან აღნიშნა, რომ ამჟამად პროგრამაზე 22 აქტიური პროფესიული სტუდენტია, მათ შორის 9 - ინტეგრირებულ პროგამაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო სივრცე და მატერიალური რესურსი წარმოდგენილია 3 აუდიტორიის სახით, 2 არის პროფესიული მოდულებისთვის და 1 ინტეგრირებულისთვის, ასევე არის ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისთვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამივე სივრცე და მასში მოთავსებული მატერილური რესურსები აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა ადამიანურ რესურსებზე და აღნიშნა, რომ მასწავლებლები შერჩეულები არიან კვალიფიკაციის შესაბამისად, რაც შეეხება ინტეგრირებული მოდულების მასწავლებლების გადამზადების პროცესს, ტრენინგების მხოლოდ ბოლო კურსია დარჩენილი, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწერებულებამ მიაწოდა ინფორმაცია, რომ კურსის დასრულების შემდეგ მოხდება წარმატებული პედაგოგების სერტიფიცირება.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო რესურსები აკმაყოფილებს სტანდარტს, ხოლო პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად პროგრამა დამატებით პრაქტიკის ობიექტს არ საჭიროებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში შეფასება იყო, როგორც მეტწილი შესაბამისობა, ხოლო მონიტორინგის საფუძველზე, დისტანციური ჩართვისა და მასალების შემოწმების საშუალებით საგანმანათლებლო დაწესებულება ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულად შესაბამისი.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე და აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული ფართი და მატერიალური რესურსი განკუთვილია მხოლოდ პროფესიული პროგრამისთვის.
უნივერსიტეტის მატერიალური და ადამიანური რესურსების გადამოწმების საფუძველზე დადგინდა, რომ უნივერსიტეტის პროფსიული საგანმანათლებლო პროგრამა საფრთხეს არ უქმნის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, შესაბამისად სტანდარტი არ ირღვევა. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან პრაქტიკული გამოცდილების მქონე მასწავლებლები.
ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფს წარმოების ფარგლებში რეკომენდაცია არ გაუცია და საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა, რომელიც დაწესებულების მიერ იქნა გადმოგზავნილი. მან აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ინტეგრირებული ლაბორატორიის სურათები არ გადმოუგზავნიათ, თუმცა აღნიშნა, რომ მისი გადამოწმება მოხდა დისტანციურად, ონლაინ ჩართვის საფუძველზე. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ მატერიალური რესურსები სრულად წარმოადგინა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ, ისაუბრა დარგის ექსპერტმა ალექსანდრე კეკენაძემ. მან აღნიშნა, რომ ის დაწესებულებაში პირველი ვიზიტის დროსაც იმყოფებოდა. მატერიალური რესურსების დათვალიერების დროს არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ონლაინ მიმდინარეოდა წარმოება და საწყობებში ჰქონდა დაწესებულებას რესურსები განლაგებული, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფმა მისცა დრო, რომ ამოეტანათ რესურსები და დაელაგებინათ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე ვიზიტის დროს დაწესებულებას ეს გათვალისწინებული ჰქონდა და ლაბორატორიებში იყო დალაგებული რესურსები. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 3 ლაბორატორიაა გამოყოფილი ინტეგრირებულებისთვის, არაინტეგრირებულებისთვის და ზოგადებისთვის.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმებულ იქნა აღჭურვილობა და ხარვეზი არ ყოფილა გამოვლენილი. ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთანაც ჰქონდა გასაუბრება, ბატონმა ალექსანდრემ საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სტანდარტს, თუმცა აქვე გააკეთა კომენტარი, რომ მისთვის პირველი შემთხვევა იყო, როცა პროგრამის ხელმძღვანელი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირია და არა პროფესიულის, ამასთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი იყო ზოგადი მოდულის - „ინფორმაციული წიგნიერების“ განმახორციელებელი და მან დარგის ექსპერტთან გასაუბებისას აღნიშნა, რომ აპირებდა ხელმძღვანელობა პროფესიული მოდულის მასწავლებლისთვის დაეთმო. შესაბამისად, ხელმძღვანელის მიერ გამოთქმული დამოკიდებულება დადებითად შეფასდა დარგის ექსპერტის მიერ.
დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დათვალიერებული იქნა აუდიტორიები, შემოწმდა ხელშეკრულებები და ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას პრობლემა არ აქვს.

დარგის ექსპერტის შემდეგ ისაუბრა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს მონიტორინგის პროცესის გულდასმით და ეფექტურად წარმართვისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ აიღო ვალდებულება საბჭოს წინაშე, რომ აუცილებლად შეასრულებდა რეკმენდაციებს, რომელიც დაწესდა დაწესებულების მიმართ წინა წარმოების ფარგლებში

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორივე რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულად იქნა შესრულებული. შესყიდვების ნაწილში არ არის არც ერთი პუნქტი დარჩენილი, რომელიც არ დასტურდება მიღება- ჩაბარების აქტებით. მან ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობით მიმდინარეობს პერსონალის გადამზადება, მასწავლებელთა პროფესული გადამზადების ცენტრთან ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვთ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გამოხატავს მზაობას, რომ არა მარტო ამ მოდულისთვის, არამედ სხვა მოდულების პროფესიული მასწავლებელებისთვის მოხდეს ტრენინგების ჩატარება. დაწესებულებას სურვილი აქვს განახორციელოს პედაგოგების გადამზადება, რომელიც დადასტურებული იქნება შესაბამისი სერტიფიკატით, რომლის წარმოდგენაც შესაძლებელი იქნება ექსპერტებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გამოხატული ნდობისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება შეუფერხებლად ახორციელებს ფუნქციონირებას.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ გადამოწმების მიზნით, კითხვით მიმართა ექსპერტს მეორე რეკომენდაციის ფარგლებში, პროფესიულმა მასწავლებლებმა გაიარეს თუ არა ტრენინგი, როგორც მან მოისმინა, მასწავლებლები არიან სერტიფიცირებულები და მან გამოთქვა ინტერესი თუ ვის მიერ არიან სერტიფიცირებულები ეს მასწავლებლები. აღნიშნულზე ექსპერტმა უპასუხა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლებს გავლილი აქვთ სამინისტრს ტრენინგები და დაწესებულებას დარჩენილი აქვს სერტიფიცირების პროცესი.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი, რომ აღნიშნული საკითხი ეხება მასწავლებლებს, რომელებიც ასწავლიან ინტეგრირებულ მოდულებზე - მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და გეოგრაფია. მან აღნიშნა, რომ სამინისტროს ეგიდით ჩატარდა მოსამზადებელი ტრენინგ კურსები და მესამე ეტაპი არის დარჩენილი, ქოუჩინგის ეტაპი და ამის შემდეგ მოხდება მასწავლებელებისათვის სერტიფიკატების გადაცემა.

აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთე საბჭოს თავჯდომარემ და აღნიშნა, რომ თუკი ეს არის სერტიფიკატის გაცემა, იმითვის რომ დადასტურდეს ტრენინგის გავლა, მისი შეფასებით ასეთ სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს და აქვე საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიულ განათლებაში მასწალებელთა სერტიფიცირების პროცესი ჯერ არ არის დაწყებული.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა

და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 424066977) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მეფუტკრეობა“, „მეხილეობა“, „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, „თმის მომსახურება“, „სამკერვალო წარმოება“ და „მებოსტნეობა“ (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინამძღვრიანთკარი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა თხოვნით, იქედან გამომდინარე, რომ ერთ საკითხში გაერთიანებული იყო სხვადასხვა პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა, ყურადღება გაემახვილებინა საერთო და განსხვავებელ საკითხებზე, აღნიშნულ საკითხზე კომენტარი გააკეთა სამსახურის უფროსმა და აღნიშნა, რომ ვინაიდან ერთი კოლეჯის ფარგლებში საბჭოს მიერ სხვადასხვა პროგრამაზე ერთიდაიგივე თარიღში იყო დანიშნული მონიტორინგი კოლეჯში, დირექტორის ერთი ბრძანებით ჩაინიშნა მონიტორინგი და ერთ დასკვნაშია აღწერილი ყველა პროგრამის შეფასება და იმედოვნებს, რომ ექსპერტები მოახერხებენ დასკვნის წარმოდგენის დროს ყურადღება გამახვილდეს ძირითად და განსხვავებლ ფაქტორებზე

პირველი პროგრამის, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის **„მეფუტკრეობის“** პ როფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძვლები, მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაევალა 31-ე მუხლის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმება.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა წინა წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე, დაწესებულებას მიეცა 3 რეკომენდაცია:
რეკომენდაცია 1 - ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო მატერიალური ბაზის შევსებას.
რეკომენდაცია 2 - ეხებოდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების მოწესრიგებას.
რეკომენდაცია 3 - ეხებოდა პროფესიული მასწავლებელების გადამზადებას.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ „მეფუკტრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის მოდულური. სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე და დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30, აქედან აქტიური პროფესიული სტუდენტი არის 15.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ დოკუმენტაციას. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ონლიაინ ჩართვა, რის საშუალებითაც მოხდა გასაუბრების ჩატარება და ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსების დათვალიერება.
ექსპერტმა თქვა, რომ დაწესებულებას აქვს A, B და C გარემო, ასევე, მეფუტკრეობის სახელოსნო. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ყველა მატერიალური რესურსი იქნა წარმოდგენილი, რაც საჭირო იყო ამ პროგრამისთვის.
ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა და ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას კაბინეტებში გამოკრული აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული უსაფრთხოების წესები.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა მემორანდუმებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას საფუტკრე მეურნეობის მფლობელ ორ ფიზიკურ პირთან აქვს გაფორმებული ხელშეკრულებები. მემორანდუმის თანახმად, თითოეული მეურნეობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლება.
ასევე, კოლეჯის მფლობელობაშია საფუტკრე მეურნეობა - 15 სკაა, რომელიც სრულად არის აღჭურვილი საჭირო მატერიალური რესურებით და სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ყავს 19 პროფესიული მასწავლებელი. მათი დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ იქნა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები და დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირადი საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია, რითაც შესრულებულია წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაცია. ექსპერტმა ასევე ისაუბრა მასწავლებელთა კომპეტენციაზე და მან აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ მომხდარიყო მასწავლებლების პროფესიული გადამზადება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ თავისი ხარჯით განახორციელა ტრენინგები, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, საერთო ჯამში 48 პროფესიული მასწავლებელი იქნა გადამზადებული მთელი კოლეჯის მასშტაბით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამას დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი ჰყავს. მონიტორინგის ფარგლებში მოხდა მასთან გასაუბრება. ექსპერტებმა ნახეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, სერტიფიკატები, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და სრულად არის წარმოდგენილი სასწავლო რესურსები, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. ბიბლიოთეკაში ასევე განთავსებულია 15 კომპიუტერი და ერთი ნოუთბუქი. ისაუბრა სსსმ პირებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებაში შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები. კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. შემუშავებულია სსსმ პირის შეფასების ისნსტრუმენტები. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც მოდულის მოდიფიკაცია, ასევე, აკომოდაცია და მათთვის ინდივიდუალური სასაწავლო გეგემის შემუშავება. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას სსსმ პროფესიული სტუდენტი არ ყავს. სსსმ პირებთან დაკავშირებული საკითხები ეხება ყველა წარმოდგენილ პროგრამას.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ფინანსურ საკითხებზე და აღნიშნა, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორცილების მდგრადობა. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო არის სწავლის საფასური, ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა მეორე სტანდარტთან მიმართებით აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

პროგრამის მონიტორინგის შედეგების წარდგენის შემდეგ, დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და დაადასტურა, რომ რეკომენდაციები, რომელიც წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულების მიმართ იყო გაცემული, სრულად არის გათვალისწინებული და კოლეჯს ამ მდგომარეობით თავისუფლად შეუძლია უზრუნველყოს პროგრამის განხორციელება.
აღნიშნულ საკითხზე ასევე კომენტარი გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია და მან დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლის შემდეგ, კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ და მან კითხვით მიმართა ექსპერტს. მისი კითხვა ეხებოდა შშმ პირებისთვის შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს, რომელზეც ისაუბრა ექსპერტმა პრეზენტაციის დროს. საბჭოს წევრს აინტერესებდა წინასწარ მოხდა თუ არა ამ შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება. მან აღნიშნა, რომ თუ დაწესებულებამ არ იცის რა სახის შეზღუდული შესაძლებლობის პირი ეყოლებათ, როგორ შეიმუშავებდნენ ამ ინსტუმენტებს. აღნიშნულზე საბჭოს წევრს ექსპერტმა უპასუხა და აღნიშნა, რომ შეფასების ინსტრუმენტები არის ზოგადი და ასახავს თუ როგორ უნდა შეფასდეს შშმ პირი. ასევე ექსპერტმა დაამატა, რომ კოლეჯს გამოყოფილი ყავს პირი, რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას სხვა სამ პროგრამაზე ჰყავს შშმ პირი და მათთან მიმდინარეობს მუშაობა. ექსპერტმა შეაჯამა და აღნიშნა, რომ ეს ინსტრუმენტები არის შეფასების ზოგადი წესები.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

ექსპერტმა „ მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის შედეგების გაცნობის შემდეგ ისაუბრა **„მეხილეობის“** საგანმანათლებლო პროგრამაზე და საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძვლები. ექსპრტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგი დანიშნული იყო დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) და ბ.გ) კომპონენტების შესრულების შემოწმების მიზნით.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ადმინისტრაციული წარმოების დროს გაცემულ რეკომენდაციებზე, დაწესებულებას მიეცა 4 რეკომენდაცია:
რეკომენდაცია 1, ეხებოდა ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსებას.
რეკომენდაცია 2, ეხებოდა პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტებას.
რეკომენდაცია 3, ეხებოდა პროფესიული მასწავლებლების გადამზადებას.
რეკომენდაცია 4, ეხებოდა 2.3 კომპონენტს,შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გადამუშვებას და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებას, საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლას და საჭირო გამოკითხვის ფორმების შემუშავებას..
ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა მე-4 დონისაა, მოდულურია და ხორციელდება ასევე ინტეგრირებული სახით. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს, აქედან 15 არის ინტეგრირებულზე.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსებზე და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია კოლეჯის ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსებით. დაწესებულებაში არის A, B და C გარემო. მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის სრული აღჭურვილობა, რომელიც წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში კოლეჯს არ ჰქონდა შესყიდული.
ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა მატერიალური რესურსების ფოტო მასალა, რომელიც დაწესებულების ლაბორატორიებში იქნა გადაღებული.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის ხელშეკრულებებზე და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის განხორცილების მიზნით ხელშეკრულებები გაფორმებულია კოოპერატივებთან ესენია: „დვალეთი“,ფ/პ „ეკატერინე ღრუბელაძე“ და „დავით ალექსიძე“ და ასევე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითცენტრთან. ხელშეკრულებები დადებულია 2019 წელს და მოქმედებს პროგრამის განხორციელების უფლების ვადით. სამივე სასწავლო საწარმო იღებს ვალდებულებას ერთდროულად არა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტის მიღებასთან დაკავშირებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯს აქვს ასევე საკუთარი საცდელი მეურნეობა. სასწავლო კორპუსის უკან გაშენებულია 2 ჰექტარზე სხვადასხვა სახეობის ხეხილისა და ვაზის ჯიშები, საკოლექციო ნაკვეთები, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს მცენარეთა მოვლასთან და ფორმირებასთან, ბაღში ნიადაგის დამუშავებასთან დაკავშირებული პრაქტიკული სწავლის შედეგები.
კოლეჯის ეზოში არის სათბურები, სადაც შესაძლებელია ნერგების წარმოება და მასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების მიღწევა. კოლეჯს ასევე აქვს თავისუფალი სივრცე, სადაც შესაძლებელია საბაღე ნაკვეთის შერჩევა და ახალი ბაღის გაშენება. კოლეჯს ასევე აქვს მცირე მექანიზაციის საშუალებები ნიადაგის დასამუშავებლად და გასაფხვიერებლად. ასევე კოლეჯში წარმოდგენილია მცენარეთა შესაწამლი აგრეგატი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მატერიალური რესურსი სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.
ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰყავს 12 პროფესიული მასწავლებელი, ინტეგრირებულ მოდულებზე კი 9 პროფესიული მასწავლებელი. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პირადი საქმეები დაკომპლექტებულია კოლეჯის შინაგანაწესით განსაზღვრული წესით. დაწესებულების ყველა მასწავლებელს პირად საქმეში აქვს ჩადებული ის დოკუმენტაცია, რაც წინა წარმოების ფარგლებში აკლდა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ კომპონენტი შეფასდა სრულად შესაბამისად.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მასწავლებელთა კომპეტენციების საკითხზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩატარდა ტრენინგები, რომელსაც დაესწრო ყველა მასწავლებელი. ტრენინგები ჩატარდა ინტეგრირებული მოდულის ფარგლებშიც. მასწავლებლებმა გაიარეს სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტისმიერ ორგანიზებული ტრენინგი გაეროს მხარდაჭერით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამას ყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი. მონიტორინგის ფარგლებში მოხდა მასთან გასაუბრება და ექსპერტებმა გასაუბრების საფუძველზე დაადგინეს მისი კომპეტენცია სრულად შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობაზე და აღნიშნა, რომ იგი ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და წარმოდგენილია, როგორც ბეჭდური სახით, ასევე ელექტრონული ფორმით. ბიბლიოთეკში წარმოდგენილია 15 პერსონალური კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ფინანსურ საკითხზე და აღნიშნა, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანამანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო არის სწავლის საფასური, ვაუჩერი და პროგრამული დაფინანსება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა მეორე სტანდარტთან მიმართებით აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა 2.3. კომპონენტზე, რაც გულისხმობს იმას, რომ პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების მექანიზმებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია ყველა მექანიზმი და ექსპერტის შეფასებით, ამ ეტაპზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სრულყოფილად. ექსპერტმა ისაუბრა მექანიზმების შესახებ და აღნიშნა, რომ ხარისხის შიდა უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის მართვის მენეჯერის, შიდა მხარდაჭერის ჯგუფისა და ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები და ჯგუფები დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობენ კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულებთან და ასევე, პროგრამის ყველა განმახორციელებელ პირთან და ასევე, პროფესიულ სტუდენტებთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ოქმები, რაც ხელმოწერებითაა დადასტურებული ადასტურებს აღნიშნული მექანიზმების არსებობას. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ასევე გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას ხარისხის შენარჩუნებისა და განვითარების მიზნით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯში პროფესიული განათლების პოპულარიზაციისათვის სასწავლო პროცესებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია კვლევების ჩატარება. კვლევები მოიცავს: სტუდენტების დასაქმების კოეფიციენტის კვლევას; კურსდამთავრებულების კმაყოფილების კვლვევას; დასაქმებულების კვლევას; სსსმ პირების გამოკითხვას; საბიბლიოთეკო რესუსრით სარგებლობის ადეკვატურობის გამოკითხვას; პრაქტიკის ობიექტის უსაფრთხო გარემოს მონიტორინგს; მასწავლებლების შეფასების კვლევას სტუდენტებისათვის.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პანდემიის გათვალისწინებით კოლეჯმა ვერ მოახერხა ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კლვევის ჩატარება, თუმცა დაწესებულებამ ექსპერტებს წარმოუდგინა 3 კვლევის ანგარიში: დამსაქმებელთა, სტუდენტთა და ადმინისტრაციის წარმომადგებლების კმაყოფილების კვლევის ანგარიშები.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ანგარიშებს თან ახლავს ის რეკომენდაციები, რომლებიც კვლევაში ჩართულმა პირებმა შეიმუშავეს, რომლებიც ემსახურება სასწავლო პროცესისა და პროგრამების,

პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების საკითხების გაუმჯობესებას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები რეაგირებისათვის წარედგინება შესაბამის პირს, რაც იძლევა შესაძლებლობას მოხდეს დაგეგმილი ნაბიჯების შესრულების მონიტორინგი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯის მიერ შემუშავებულია დოკუმენტი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ჩარჩო-დოუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათებლო პროგრამის შემუშავების წესი, სადაც გაწერილია პროგრამის განვითარების, დამტკიცების და მასში ცვლილების შეტანის პროცედურა. წესის თანახმად პროგრამაში ცვლილებები შესაძლებელია შევიდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ სტანდარტში შეტანილი ცვლილებების, შრომის ბაზრის მოთხოვნის ან სხვა გარემოებების საფუძველზე. ცვლილებებში ინიცირება შეუძლია ხარისხის მართვის მენეჯერს, ასევე სასწავლო პროცესის მენეჯერს, პროგრამის განმახორციელებელ ნებისმიერ პირს, კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციას და პროგრამის ხელმძღვანელს. ცვლილების შეტანის ინიცირება დასაბუთებულად უნდა იქნას წარმოდგენილი წერილობითი სახით. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის, მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესები შესაბამისობაშია სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.3. კომპონენტს იმეორებს ყველა პროგრამა, აქედან გამომდინარე ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სხვა პროგრამებისთვის აღარ განეხილავდა ა კომპონენტს.

ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე პრეზენტაცია, რის შემდეგაც დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას და ადასტურებს, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას სრულად აქვს გათვალისწინებული მიღებული რეკომენდაციები და მისი შეფასებით სრულადაა შესაძლებელი პროგრამის შეუფერხებლად განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელი ასევე დაეთანხმა ექსპერტის პრეზენტაციას ბოდიში მოუხადა საბჭოს წინა წარმოების ფარგლებში შექმნილი შეფერხებისთვის, რამაც განაპირობა რეკომენდაციების გაცემა. მან აღნიშნა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოხდა ტვირთის დაგვიანება, რამაც გამოიწვია აღნიშნული ხარვეზები. დაწესებულების წარმომადგენელმა ბოლოს მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი შეკითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „მეხილეობს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„თმის მომსახურება“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან ნატალია დარჩინიანთან ერთად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის, ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე:
რეკომენდაცია 1, ეხება საგანმანათლებლო რესურსების მობილიზებას.
რეკომენდაცია 2, ეხება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას
რეკომენდაცია 3, ეხება 2.4 კომპონენტს და გულისხმობს, რომ დაწესებულებას უნდა გაეწერა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი.

ექსპერტმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამა არის მოდულური, სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 30-ს. აქტიური პროფესიული სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამაზე არის 9.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი იქნა დოკუმენტაცია, ასევე მოხდა დათვალიერება და ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ კოლეჯის ბაზაზე წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა A, B და C გარემოებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მატერიალური რესურსების და აღჭურვილობის დაწესებულების ბაზაზე განლაგების შესახებ, რაც კოლეჯის მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული და მონიტორინგის წარმოების დროს სრულად იქნა წარმოდენილი. ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა, სადაც წარმოდგენილი იყო სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები და სასწავლო რესურსები.
შემდგომ ექსპერტმა ისაუბრა მემორანდუმებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული აქვს სამ სასწავლო საწარმოსთან (ი/მ ანი პარკაული; ი/მ თამრიკო ჩონიაძე; ი/მ ირმა გუბელაძე). მემორანდუმის თანახმად თითოეული სალონი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული სწავლება. სწავლებას ახორციელებს 20 პროფესიული მასწავლებელი. აქედან 10 უძღვება პროფესიულ მოდულებს, 1 ქართული ენის, ხოლო დანარჩენი კი ზოგად მოდულებს. მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებელთა კომპეტენცია სრულ თანხვედრაშია სტანდარტთან, ვინაიდან მათ უკვე გაიარეს ტრენინგები. პროგრამას ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა,რომ სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და წარმოდგენილია ყველა საჭირო სასწავლო რესურსი.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსურ საკითხებზე და აღნიშნა რომ რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
ექსპერტმა წარმოდგენილი არგუმენტებით 2.2. კომპონენტი სრულად შესაბამისად შეაფასა და შემდეგ 2.3. კომპონენტთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ექსპერტმა საბჭოს წინა პროგრამის განხილვის ფარგლებში მოახსენა და ამ პროგრამის ფარგლებშიც იდენტურია, ამიტომ ექსპერტმა დამატებით მასზე კომენტარი არ გააკეთა.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა 2.4. კომპონენტზე - სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიული სტუდენტების შეფასების საკითხზე და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში გეგმა აგებულია მოდულებზე დაშვების წინაპირობების დაცვით, კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, და აქვე აღნიშნა, რომ ეს ეხება ყველა პროგრამას, რომელშიც იყო 2.4 კომპონენტი იყო შესაფასებელი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კალენდარული გეგმა მოიცავს ინფორმაციას კონკრეტული მოდულის ხანგრძლივობის, კვირეული დატვირთვის, თემატიკის, სწავლისა და შეფასების მეთოდებისა და სასწავლო აუდიტორიების შესახებ ინფორმაციას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯში პერიოდულად ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. მან აღნიშნა, რომ ექსპერტები გაეცნენ კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგებს, რომელიც კოლეჯმა 2020 წლის აგვისტოში ჩაატარა, კვლევების ანალიზის შედეგად მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კოლეჯის შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტების უფლებები განმეორებით გამოცდაზე გასვლასთან, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფოფასთან დაკავშირებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი სულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ყველა სასწავლო აუდიტორია, ლაბორატორია (არა მარტო ამ პროგრამის ფარგლებში) აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. წარმოდგენილი პროგრამის მოდულებით გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდების და შესამაბისი ტექნოლოგების გამოყენება, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, როგორიცა ინტერაქტიული ლექცია, სასწავლო მასალების დემონსტრირება, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, ვიდეოს ჩვენება, სასწავლო ექსკურსია და ა.შ.
ექსპერტმა ისაუბრა პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე და აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტი სტატუსის აღდენის, ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხულ პორფესიულ სტუდენტისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი. სტატუსაღდგენილი ან პროფესიულ პროგრმაზე მობილობით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტისთვის ინივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი, ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მენეჯერის შემადგენლობით.
ექსპერტმა დაამატა, რომ ფუნქციები, რომელიც აქვთ აღნიშნულ პირებს, სრულად არის დელეგირებული და თითოეულ მათგანს მკაფიო წარმოდგენა აქვთ მათ ფუნქცია-მოვალეობებზე. მან ასევე ისაუბრა სსსმ პირებზე და აღნიშნა, რომ სსსმ პირების

ინდივიდუალურ საჭიროებებზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ინტერდისიპლინარული გუნდის დასკვნის და პროფესიული მასწავლლებლის რეკომენდაციით.
შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით იქმნება კომისია - ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული მასწავლებლის და ხარისხის მართვის მენეჯერის შემადგენლობით.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება მოდულურად და სწავლის შედეგების 100 % მიიღწევა კოლეჯში. მიუხედავად ამისა, კოლეჯს პროგრამის მდგრადობისთვის აქვს გაფრომებული მემორანდუმი სამ პარტნიორ ორგანიზაციასთან.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა საგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელების ფარგლებში უსაფრთხოების ნორმები სრულად არის დაცული, რაც გადამოწმდა ონლაინ ჩართვის საშუალებით. პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით კოლეჯს მფლობელობაში აქვს ყველა ის მატერიალური რესურსი, რომელიც სასწავლო პროცესში სტუდენტთა უსაფრთხოებას უზრუნველყოფს - განთავსებულია ცეცხლმაქრი, გამოკრულია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების წესები.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა შეფასების სისტემაზე და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. კოლეჯის მიერ შექმნილ დოკუმენტში, თემატურ კალენდარულ გეგმისა და შეფასების ინსტრუმენტების შექმნის წესის თანახმად, პროგრამის მიზნებისათვის შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს. რეგულაცია უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შეფასებისას ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებას, როგორიც არის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. შეფასების წესი ითვალისწინებს ეტაპებს როგორიცაა: შესაფასებელი შედეგების იდენტიფიცირება, სწავლის შედეგებისათვის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, ინსტუმენტების განსაზღვრა, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, შეფასების ინსტრუმენტების შემოწმება და ა.შ.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ვერიფიკაციის მექანიზმზე და აღნიშნა, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციის პროცესი რეგულირდება კოლეჯის რეგულაციით - კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფა და ვერიფიკაცია, რომელშიც გაწერილია ვერიფიკაციის პროცედურები სრული წესების დაცვით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვერიფიკაციის ყველა მექანიზმია შემუშავებული, თუმცა პროგრამისთვის აღნიშნული პროცესი ჯერ არ განხორციელებულა, ვინაიდან პროგრამამ 2020 წლის ოქტომბერში დაიწყო ფუნქციონირება.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა უწყისებზე და საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ კოლეჯში შეფასების ინსტრუმენტები ინახება სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში, ხოლო უწყისი ინახება უვადოდ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მიღებული რეკომენდაცია და შეიმუშა შეფასების მტკიცებულების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე პრეზენტაცია და აღნიშნა, რომ აღნიშნული ინფორმაცია მეორდება სხვა განსახილველ პროგრამებზეც. განხილვაში არ მონაწილეობდა დარგის ექსპერტი ნატალია დარჩინიანი, ვინაიდან ის არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას.
აღნიშნულ საკითხზე კომენტარი არ გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნა რომ ექსპერტმა სრულად წარმადგინა ინფორმაცია.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები . საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„სამკერვალო წარმოება“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან მანანა კობალაძესთან ერთად. ექსპეტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის, ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან წინა პროგრამების ფარგლებში უკვე ისაუბრა ბ.გ) და ბ.დ)კომპონენტზე, აღარ წარმოადგენდა ამ კომპონენტებს, ექსპერტმა საბჭოს მოახსენა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ის ეხებოდა მატერიალური რესურსების საგანმანათლებლო ბაზაზე მობილიზებას; ხარისხის შიდა მექანიზმების შემუშავებას და შეფასების მტკიცებულების აღრიცხვის წესს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიღებული რეკომენდაციები დაწესებულების მიერ სრულად იქნა გათვალისწინებული.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამაზე ზღვრული რაოდენობაა 30 პროფესიული სტუდენტი, აქედან აქტიურია 9 პროფესიული სტუდენტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება,რომ სასწავლო გარემო სრულად არის აღჭურვილი მატერიალური რესურსებით. პროგრამას აქვს A, B და C გარემოებეი, სადაც 2 ცვლაში მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტთა სწავლება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას რა რესურსებიც აკლდა წინა წარმოების ფარგლებში, მონიტორინგის დროს სრულად იქნა წარმოდეგნილი.
ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ ყველა მატერიალური რესურსი წარმოდგენილ იქნა დაწესებულების მიერ.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას შესაძლებლობა აქვს სწავლის შედეგების 100% განახორციელოს დაწესებულებაშივე, თუმცა პროგრამის მდგრადობისთვის მაინც აქვთ ოთხ პარტნიორ საწარმოსთან დადებული ხელშეკრულება.

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 16 პროფესიული მასწავლებელი, მათი დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს. პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეები დაკომპლექტებულია წესის მიხედვით. მათი კომპეტენცია შესაბამისობაშია. პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგები. პროგრამის ხელმძღვანელი არის კვალიფიცირებული და კარგად ესმის თავისი უფლება მოვალეობები. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ყველა რესურსი, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა სსსმ პირებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ყავს ერთი სსსმ პირი, რომელსაც წვდომა აქვს საგანმანათლებლო პროგრამითა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სასწავლო რესურსთან.

ფინანსური უზრუნველყოფასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ კომპონენტი სრულად შეესაბამება სტანდარტს.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებს ცალკე აღარ განიხილავდა, ვინაიდან წინა პროგრამების პრეზენტაციის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული და აღნიშნა, რომ კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.

შემდეგ ისაუბრა დარგის ექსპერტმა და აღნიშნა, რომ პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე მობილიზებული თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან და პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „სამკერვალო წარმოება“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ თამარ ახალაძესთან ერთად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტით ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტის შემოწმება.

ექსპერტმა აღნიშნა, შესაძლებლად თვლის, რომ ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებზე ამ პროგრამის ფარგლებში აღარ ისაუბროს, ვინაიდან მან საბჭოს სხვა პროგრამის ფარგლებშიც უკვე გააცნო მონიტორინგის შედეგები და ყველა საგანმანათლებლო პროგრამა იმეორებს აღნიშნულ შედეგებს.

ამიტომ საბჭოს წინაშე დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების “ საგანმანათლებლო პროგრამა არის დუალური პროგრამა, შესაბამისად კოლეჯს აქვს გაფორმებული მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან, კოლეჯმა წარმოადგინა პარტნიორ ოგნიზაციებთან დადებული ხელშეკრულეები. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება საწარმოში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა საწარმოს წარმომადგენლებს, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვავენ სტუდენტების მისაღებად. დარგის ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას წინა წარმოების ფარგლებში ჰქონდა რეკომენდაცია, რომ სწავლების პროცესში ჩაერთოთ ისეთი პირი, რომელიც ტექნოლოგიური პროცესების მცოდნეც იქნებოდა, რათა სრულფასოვნად მომხდარიყო სასწავლო პროცესის წარმართვა, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა ეს რეკომენდაცია გაითვალისწინა და ორი ინსტრუქტორი იყო წარმოდგენილი მონიტორინგის ვიზიტის დროს. ერთი ფლობს საწარმოო ხაზს, მეორე - საწარმოში მიკრობიოლოგიურ პროცესებს აკონტროლებს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პარტნიორი საწარმო სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინფრასტრუქტურით, რაც პრაქტიკული სწავლების სრულფასოვნად ჩატარების შესაძლებლობას იძლევა, ხოლო თეორიული სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტ თამარ ახალაძეს პარტნიორ ორგანიზაციასთან გასაუბრების დროს, ხომ არ უკითხავთ, აქვთ თუ არა მათ გათვალისწინებული სტუდენტების ანაზღაურება, ვინაიდან დუალურ სწავლებაზეა საუბარი, და რა ოდენობით აპირებენ ამ ანაზღაურებას. საბჭოს წევრის კითხვას უპასუხა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ და აღნიშნა, რომ სტუდენტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ამ შემთხვევაში არ ყოფილა საუბარი და არც ხელშეკრულებაში არ არის ჩანაწერი სტუდენტების ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
საბჭოს წევრმა დამაზუსტებელი კითხვით მიმართა, იყო თუ არა საგანმანათლებლო პროგრამა დუალური, დარგის ექსპერტმა დაადასტურა, რომ პროგრამა ნამდვილად დუალური იყო.
კოლეჯის წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ დაწესებულების კომპანიასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში არის ასეთი ჩანაწერი, რომ თვითონ კომპანია და სტუდენტი თანხმდებიან ანაზღაურებასთან დაკავშირებით.
აღნიშნულზე ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ საუბარია კომპანია „კულაზე“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის თვითონ ესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს და ისინი მზაობას გამოთქვამენ, რომ შეთანხმების შედეგად, გადაუხდიან სტუდენტებს ანაზღაურებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში თანხა არ ჩაიწერა, რადგან ამისთვის კომპანიას სჭირდება სხვა ბერკეტები. მან აღნიშნა, რომ

პრაქტიკის განმახორციელებელმა დაწესებულებამ ანაზღაურება რომ მისცეს სტუდენტს, უნდა იქნას გაფორმებული სტუდენტსა და საწარმოს შორის შესაბამისი ხელშეკრულება კონკრეტული სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით.
დაწესებულების ხელმძღვანელმა ასევე ისაუბრა პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს სპეციფიკაზე და აღნიშნა, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაო არ უნდა იყოს ზენორმატიული. ეს უნდა მოიცავდეს იმ დროში სამუშაოს შესრულებას, რაც საკმარისი იქნება პრაქტიკული სწავლებისათვის. ამიტომ მან აღნიშნა, რომ ინდივიდუალურად მოხდება შეთანხმება. მან აღნიშნა, რომ შედგა სიტყვიერი შეთანხმება საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის განამახორციელებელ დაწესებულებას შორის და ანაზღაურება განისაზღვრა არანაკლებ 200 ლარისა. მან ასევე აღნიშნა, რომ კომპანია „კულა“ არის დაწესებულება, რომელსაც არ აქვს პრობლემა დასაქმების და დუალური პროგრამა შეიძლება გახდეს სტუდენტებისთვის შემდგომი დასაქმების პერსპექტივა.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დუალური სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტისთვის ხელფასის მოცემის საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ არის დარეგულირებული. საწარმოებს როგორც ასეთი ფულის გაცემა არ შეუძლიათ, რადგან ვერ დაარქმევენ ვერც სტიპენდიას და ვერც შრომით ანაზღაურებას, ამიტომ ეს ხდება ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე საქმიდან გამომდინარე. დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ანალოგიური ფორმით თანამშრომლობს „კატევეს“ ღვინის ქარხანასთან, რომელსაც 12 სტუდენტი ჰყავს უკვე დასაქმებული, პრაქტიკის გავლის შემდეგ.

საბჭოს წევრმა მარიამ ჩაგელიშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ აღნიშნული საკითხი ამ ეტაპზე არ რეგულირდება და დაწესებულებები ეფუძნებიან მხოლოდ ხარისხის ცენტრის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მან ასევე იმედი გამოთქვა, შემდეგ წლის დასაწყისიდან ძალაში შევა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დადგენილება, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ზემოთ აღნიშნულ საკითხსაც მოაწესრიგებს. საბჭოს წევრმა კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღანელს ხელშეკრულებებთან დაკავშირებით და ჰკითხა, ჰქონდათ თუ არა ორმხრივი ხელშეკრულება გაფორმებული პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან თუ სამმხრივი ხელშეკრულება, სადაც მესამე მხარედ შემოსულია პროფესიული სტუდენტი. დაწესებულების ხელმძღვანელმაასევე აღნიშნა, რომ პარტნიორ კომპანიასთან ხელშეკრულებას აფორმებს კოლეჯი, ხოლო, როცა ანაზღაურების საკითხია, სამხრივი ხელშეკრულება ფორმდება, რადგან პროფესიულ სტუდენტსა და პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის დროს გათვალისწინებული იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საჭიროებებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია, თუ რა სამუშაოს ასრულებს პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტი და მნიშვნელოვანია, სტუდენტს ჰქონდეს დრო ჩანაწერების გასაკეთებლად. მან აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ გადაწყდა, ხელშეკრულებაში იყოს საწარმოო პრაქტიკა, ხოლო ანაზღაურების საკითხი საწარმოსა და სტუდენტს შორის ინდივიდუალური მოლაპარაკების საგანი იყოს.

აღნიშნულ საკითხზე ასევე კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნანი დალაქიშვილმა. ვინაიდან ამ ეტაპზე რეგულაცია არ არის, სისტემაში არსებობს სხვადასხვა მიდგომები. სხვადასხვა დონორები უჭერენ მხარს დუალურ პროგრამებს, მათ სხვადასხვა სქემები შესთავაზეს თავიანთი პროგრამების ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებებს. სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როდესაც სამმხრივი ხელშეკრულებაა: კოლეჯი-სტუდენტი-საწარმო. ასევე არის შემთხვევები, როდესაც ორმხრივი ხელშეკრულებები დგება - კოლეჯი და საწარმო აფორმებს ხელშეკრულებას და შემდეგ კონკრეტული სტუდენტის შერჩევის შემდეგ, მათ სასწავლო საწარმო უფორმებს ინდივიდუალურ ხელშეკრულებას. ამდენად, ერთი კოლეჯის სხვადასხვა

სტუდენტს შეიძლება სხვადასხვა პირობებით გაუფორმდეს ხელშეკრულება სხვადასხვა კომპანიასთან.

ქალბატონმა ნანიმ აღნიშნა, რომ ცენტრის რეკომენდაციაა, რომ ხელშეკრულებებში უნდა ფიგურირებდეს ანაზღაურების საკითხი და დაზღვევის საკითხი. სტუდენტის უსაფრთხოება და მისი შრომის თუნდაც მინიმალური ანაზღაურება, თუნდაც მატერიალური სახით.

სამსახურის უფროსმა დაწესებულების ხელმძღვანელს მიმართა, რომ ვინაიდან მათთვის ცნობილი იყო ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ეცადონ დაიცვან ის რეკომენდაციები, რაც ამ ეტაპისთვის სასურველია, რომ მოქმედებდეს და მიმართა, რომ კომპანია „კულასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებშიც იყოს გათვალისწინებული დუალური პროგრამებისთვის შესაბამისი რეკომენდაციები. მის შეფასებით სავსებით არის შესაძლებელი, რადგან სწავლა დაიწყო ნოემბრის ბოლოს, იყოს ისეთი ხელშეკრულება, სადაც ცენტრის რეკომენდაციები იქნება დაცული. სამსახურის უფროსის კომენტარს და მიმართვას დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს წევრი ნინო კაკულია ტექნიკური პრობლემის გამო გამოეთიშა განხილვას და შემოუერთდა კენჭისყრიდ დროს, თუმცა დააფიქსირა, რომ ვინაიდან სრულად არ ესწრებოდა განხილვას ვერ მიიღებდა კენჭისყრაში მონაწილეობას.

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მებოსტნეობა“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ თამარ ახალაძესთან ერთად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და

ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალაპროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ), ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტების შემოწმება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მოცემული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისაუბრებდა მხოლოდ ბ.ბ) კომპონენტის შესახებ, ვინაიდან სხვა პროგრამების ფარგლებში ექსპერტმა საბჭოს ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტებზე უკვე მოახსენა ინფორმაცია.

ექსპერტმა ისაუბრა წინა წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია რესურსების მობილიზებასთან დაკავშირებით, ასევე, პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების მოწესრიგებასა და მათ პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გაცემული იყო განმავითარებელი რეკომენდაცია სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა 2018 წელს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავებული ბაინდერული ტიპის სახელმძღვანელოს მოდულებში შეტანას, რომელიც ექსპერტის შეფასებით დაწესებულების მიერ უკვე განხორციელებულია. ექსპერტის შეფასებით, ასევე, შესრულებულია ბ.გ) და ბ.დ) კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების რაოდენობაზე და აღნიშნა, რომ 30 პროფესიული სტუდენტზეა პროგრამა გათვლილი, აქტიური პროფესიული სტუდენტია - 5.

ექსპერტმა, ასევე ისაუბრა სასწავლო გარემოზე და აღნიშნა, რომ პროგრამის გათვალისწინებით სწავლის შედეგები მიიღწევა კოლეჯის მფლობელობაში არსებული რესურსებით, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული სტუდენტების ზღვრულ რაოდენობასათან.

დაწესებულებას აქვს A, B და C სასწავლო გარემოები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმისტრაციული წარმოების დროს გაიცა რეკომენდაცია პროგრამით გათვალისწინებული რესურსის საგანმანათლებლო ბაზაზე მობილიზების შესახებ. ექსპერტის შეფასებით, ამ ეტაპზე მატერიალური რესურსები სრულად შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა ფოტო მასალა.
დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსები სრულად არის წარმოდგენილი დაწესებულების მიერ და კოლეჯი მზად არის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის. კოლეჯს აქვს, ასევე ნახევარი ჰექტარი ღია გრუნტი, რომელიც გამოიყენება პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, მაგრამ კოლეჯს პროგრამის მდგრადობის შესანარჩუნებლად გაფორმებული აქვს რამდენიმე მემორანდუმი პარტნიორ საწარმოსთან. საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული 4 პარტნიორ საწარმოსთან, რომლებიც პასუხისმგებლობას იღებენ 15 პროფესიულ სტუდენტის პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფაზე. პროგრამას ჰყავს 18 პროფესიული მასწავლებელი, მათი დატვირთვა არ აღემატება კვირეულ 40 საათს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებლების კომპეტენცია შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და ასევე, მათაც ჩაუტარდათ ტრენინგები.
ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ კოლეჯი წარმოდგენილი დოკუმენტაციების მიხედვით ნამდვილად არის განვითარებაზე ორიენტირებული და ძალიან ოპერატიულად იღებს გადაწყვეტილებებს და რეკომენდაციებიც ძალიან სწრაფად აქვთ გათვალისწინებული.

ექსპერტმა, ასევე ისაუბრა დაწესებულებაში განთავსებულ ბიბლიოთეკაზე და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ყველა მასალა, რაც კი უნდა იყოს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არის 15 კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი.

ექსპერტმა ასვეე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო სახელმძღვანელოსთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ შესრულებულია და სახელმძღვანელო უკვე შესულია მოდულებში და მასწავლებლებთან გასაურების შემდეგაც დადგინდა, რომ ისინი უკვე იყენებენ აღნიშნულ სახელმძღანელოს.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ჰყავთ, თუმცა საჭირო მექანიზმები ამ პროგრამის ფარგლებშიც სრულოფილადაა შემუშავეული.

ექსპერტმა საბჭოს წინაშე შეაჯამა „მებოსტნეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა და აღნიშნა, რომ დაწესეულებას სრულად აქვს გათვალისწინებული წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მებოსტნეობის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს წევრი ნატო ქიტიაშვილი განხილვას არ ესწრებოდა, შესაბამისად არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „მებოსტნეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში.

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „მეფუტკრეობა“ და „მეხილეობა“ (დაბა თიანეთი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს

წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მეფუტკრეობა“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან თამარ ახალაძესთან ერთად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალათ პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ბ.ბ) სტანდარტის შემოწმება.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომედაციებზე და აღნიშნა, რომ რეკომენდაციები იყო გაცემული მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებით, პირადი საქმეების მოწესრიგებასთან და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა „მეფუტკრეობა“ მოდულური ფორმით ხორციელდება. აქვს A, B და C გარემოები. დაწესებულებას, ასევე აქვს მეფუტკრეობის სახელოსნო და სადემონსტრაციო საფუტკრე მეურნეობა - 17 სკა ღია ცის ქვეშ.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წამოადგინა მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერალური რესურსი სრულად. ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა დამადასტურებელი ფოტო მასალა.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა მემორანდუმებზე და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 2 ფიზიკურ პირთან. თითოეული მეურნეობა იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს 10 პროფესიული სტუდენტის პროფესიული სწავლება, თუმცა კოლეჯს, ასევე მფლობელობაში აქვს საკუთარი მეურნეობა, რომელიც სრულად არის აღჭურვილი მატერიალური რესურსით და სრულად უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეუტკრეობის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 12 პროფესიული მასწავლებელი. ზღვრულ რაოდენობასთან შეფარდებით ეს არის 12/ 20, რაც სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობას. მან ასევე აღნიშნა, რომ პროფესიულ მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები და მათი კომპეტენცია შეესაბამება სტანდარტს, ასევე საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კოპმეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

ექსპერტმა, ასევე ისაუბრა დაწესებულებაში განთავსებულ ბიბლიოთეკაზე და აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია ყველა მასალა, რაც კი უნდა იყოს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკაში არის 10 კომპიუტერი და 1 ნოუთბუქი.

ექსპერტმა საბჭოს, ასევე მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ჰყავთ, თუმცა საჭირო მექანიზმები ამ პროგრამის ფარგლებშიც სრულოფილადაა შემუშავეული.

ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე პრეზენტაცია.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაბა თიანეთში.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს წევრი ნატო ქიტიაშვილი განხილვას არ ესწრებოდა, შესაბამისად არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „მეფუტკრეობის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაბა თიანეთში.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მეხილეობა“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტ თამარ ახალაძესთან ერთად. ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მეორე პუნქტით ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ). და ბ.გ) კომპონენტის შემოწმება.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესახებ, რომლებიც ეხებოდა ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო მატერიალური რესურსების შეძენას, პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეების მოწესრიგებას და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებას.

ექსპერტმა წარმოდგენილ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ახალი წარმოების ფარგლებში დაწესებულებას სრულად აქვს გათვალისწინებული მიღებული რეკომენდაციები და კომპონენტები სრულად აკმაოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ ნორმებს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებს დაწესებულებამ წარმოუდგინა სტანდარტთანასრულ შესაბამისობაში მყოფი მატერიალური რესურსები და

ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები, რომელიც აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს A, B და C გარემოები. ასევე ლაბორატორია, რომელიც კარგად არის აღჭურვილი. ექსპერტმა, ასევე აღნიშნა, რომ პროგრამისთვის დაცულია უსაფრთხოების ნორმები.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტო მასალა.
შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა ხელშეკრულებებზე და აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები ინტეგრირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით. დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 2 ფიზიკურ პირთან. ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღებულია 5 პროფესიული სტუდენტი, რომელთაგან 4 პრაქტიკულ კომპონენტს ეუფლება ერთი-ერთი ფიზიკური პირის საწარმოში, ხოლო 1 კი - მეორე საწარმოში.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებზე და აღნიშნა, რომ პროგრამაზე არის 11 პროფესიული მასწავლებელი. ინტეგრირებულზე არის 8 პროფესიული მასწავლებელი და მათი კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებელების პირადი საქმეები დაკოპმლექტებულია შინაგანაწესის შესაბამისად. ასევე მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტრენინგები და კიდევ იგეგმება ტრენინგების ჩატარება. ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელზე და აღნიშნა, რომ პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის ხელმძღვანელი.

ექსპერტმა საბჭოს ასევე მოახსენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ჰყავთ, თუმცა საჭირო მექანიზმები ამ პროგრამის ფარგლებშიც სრულოფილადაა შემუშავებული.
ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე პრეზენტაცია და დასკვნის სახით აღნიშნა, რომ კოლეჯი დღითიდღე იზრდება და ვითარდება, ექსპერტმა მადლობა გადაუხადა კოლეჯის წარმომადგენლებს, როგორც დირექტორს, ასევე ხარისხის მართვის მენეჯერს და საგანმანათლებლო დაწესებულების ყველა თანამრომელს.

აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემაც და დასძინა, რომ ახალი ავტორიზაციის სტანდარტების მთელი ხიბლი ზუსტად ეს არის, რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყოს კოლეჯს განვითარებაში. საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას დაეთანხმა საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე და აღნიშნა, რომ კოლეჯში პროგრესი ცალსახად შეინიშნება.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

საბჭოს წევრი ნატო ქიტიაშვილი განხილვას არ ესწრებოდა, შესაბამისად, არ მიუღია მონაწილეობა კენჭისყრაში.

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ- ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (ს/კ: 236098851) „მეხილეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით დაბა თიანეთში.

4. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „მებაღეობა“ მონიტორინგის შესახებ საკითხისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნაზო წიბლიაშვილმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან ვანო ოთხოზორიასთან ერთად.

ექსპერტმა საბჭოს მოახსენა, რომ მონიტორინგის მიზნით დაწესებულებიდან გამოთხოვილი იქნა დოკუმენტაცია, ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი იქნა 30 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი სრული მატერიალური აღჭურვილობა. ასევე, შესწავლის ფარგლებში მოხდა დისტანციური ჩართვა, განხორციელდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, სასწავლო პროცესის მენეჯერთან, ბიბლიოთეკართან და საგანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებთან. მონიტორინგის ფარგლებში ასევე, დათვალიერებულ იქნა სასწავლო გარემო, მატერიალური აღჭურვილობა, ლაბორატორია და კოლეჯში წარმოდგენილი ინფრასტრუქტრა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დარგის ექსპერტი დაწვრილებით გაეცნო პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ რესურსებს, როგორც დოკუმენტურად, ასევე, ვიდეო ჩართვის საშუალებით. ასევე, დარგის ექსპერტმა ვებ - გვერდზე სასწავლო ცხრილის გაცნობისას ნახა, რომ კოლეჯს აყვანილი ჰყავს ახალი პროფესიული მასწავლებლები. მონიტორინგის ფარგლებში გადამოწმებული იქნა ასევე, მათი პირადი საქმეებიც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სტანდარტს.

მონიტორინგის ფარგლებში დასტურდება ტექნიკური აღჭურვილობის ქონა დაწესებულებაში. გადმოგზავნილი იქნა ინტეგრირებული მოდულებისათვის ყველა საჭირო ტექნიკური აღჭურვი;ობის შეძენის დოკუმენტები, მიღება - ჩაბარების აქტები, ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას მატერიალური რესურსები სრულად აქვს შესყიდული და საბჭოს წარმოუდგინა დამადასტურემელი ფოტო მასალა.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ შესრულებულია პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და კომპეტენციების განვითარების შესახებ გაცემული რეკომენდაცია და აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ჩატარებული ტრენინგის და შეფასება-შერჩევის დოკუმენტაცია. ექსპერტმა აღნიშნა, რომ განმახორციელებლები და პროგრამის ხელმძღვანელები სრულად აკმაყოფილებენ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მემორანდუმებზე და აღნიშნა, რომ საგანამანთლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს უვადო ხელშეკრულებები, პრაქტიკის ობიექტთან „ატომ ელექტრონიქსთან“.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს მზაობა სსსმ და შშმ პირების მიღების.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაწერილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და ინფორმაციის მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება აღრიცხვა, რაც ხდება სპეციალური ელექტრონული პროგრამის Eflow-ს საშუალებით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამა მეორე სტანდარტის 2.2. კომპონენტთან მიმართებაში შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში კომპონენტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სრულად შესაბამისად.

დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ მონიტორინგის დანიშვნის საფუძვლები საკუთრივ ექსპერტთა ჯგუფის მიგნებას არ წარმოადგენდა, მან აღნიშნა რომ ეს დაწესებულებას თავადაც ჰქონდა აღნიშნული თვითშეფასების დოკუმენტში. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში აღჭურვილობა სრულად არის შესყიდული და დამონტაჟებული დაწესებულების მიერ, რაც გადამოწმებულ იქნა ონლაინ ჩართვისა და გამოთხოვილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ექსპერტმა დაადასტურა, რომ მატერიალური ბაზა სრულად შეესაბამება საგანმანათლებო პროგრამის ზღვრულ რაოდენობას. დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებლების კუთხით კოლეჯს შესრულებული აქვს რეკომენდაცია და პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება სტანდარტს.
რეკომენდაცია, რომელიც პრაქტიკული პროექტის განხორცილების მიდგომების დაზუსტებასთან დაკავშირებით იყო გაცემული, დაწესებულებას შესრულებული აქვს და გაწერილი აქვს პრაქტიკის მოდულში.
ექსპერტის შეფასებით, მოცემულ მომენტში დაწესებულებას სრულად აქვს შესრულებული მიღებული რეკომენდაციები და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.

შემდეგ კოლეჯის წარმომადგენელმა გააკეთა კომენტარი და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა სრულად წარმოადგინეს პროგრამის მონიტორინგის შედეგები და იგი დაეთანხმა წარმოდგენილ დასკვნას.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ (ს/კ: 216350829) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„მებაღეობა“** მონიტორინგის დასკვნა საბჭოს წარუდგინა ექსპერტმა ნაზო წიბლიაშვილმა, რომელიც დისტანციურ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან ქეთევან გელაშვილთან ერთად.
ექსპერტმა საბჭოს გააცნო მონიტორინგის დანიშვნის საფუძველი და აღნიშნა, რომ წარმოება განხორციელდა 2.2. ქვესტადარტის შესრულების მონიტორინგის მიზნით, რომელიც ეხებოდა ინტეგრირებული მოდულებისთვის საჭირო აღჭურვილობის შეძენას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ გადმოგზავნილ იქნა ყველა დოკუმენტი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულად შესაბამისი.
ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია პროგრამის შესახებ და აღნიშნა, რომ პროგრამაზე 30 სტუდენტიდან 15 - ინტეგრირებულ პროგრამაზეა. ამჟამად პროგრამაზე სულ 20 აქტიური სტუდენტია და აქედან, 8 ინტეგრირებული. პროგრამას ჰყავს 1 შშმ პირი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის დროს მიმდინარეობდა შშმ პირთან მუშაობა, ინდივიდუალური საჭიროების დადგენის მიზნით.

ექსპერტმა ასევე, ისაუბრა მემორანდუმებზე და აღნიშნა,რომ დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში გაფორმებული აქვს მემორანდუმები „რუსთავის ბაღთან“ და წარმოადგინა ფოტო მასალა.

სამსახურის უფროსმა კითხვით მიმართა ექსპერტს, მას აინტერესებდა იყო თუ არა შესაძლებელი 1 ლაბორატორიაში ორივე პროგრამის განხორციელება, ვინაიდან ექსპერტებმა ორივე პროგრამის ფარგლებში განახორციელეს მონიტორინგი. დარგის ექსპერტმა დაუდასტურა და აღნიშნა, რომ ლაბორატორიებში ცხრილი იმგვარადაა გაწერილი, რომ იძლევა საშუალებას, შეუფერხებლად განხორციელდეს ორივე პროგრამისთვის მისი გამოყენება.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ის საგანმანათლებლო პროგრამას საკმაოდ კარგად იცნობს. მან აღნიშნა, რომ დაწვრილებით გაეცნო დოკუმენტაციას, ასვეე სხვა წარმოების ფარგლებში ნამყოფია დაწესებულებაშიც და გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს და განმახორციელებელებსაც და აღნიშნა, რომ შენიშვნები იმ ეტაპზეც არ ჰქონია.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში შესამოწმებელი კომპონენტები სრულ შესაბამისობაშია სტანდარტთან.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაწესებულებას ჰყავს 2 ახალი განმახორციელებელი დამატებული. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ხელშეკრულებებსა და მასწავლებელთა კვალიფიკაციას და სრულად აკმაყოფილებს სტანდარტს.

დაწესებულება სრულად დაეთანხმა წარმოდგენილ დასკვნას და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, მას აინტერესებდა, რითი იყო განპირობებული ექსპერტთა მხრიდან ლაბორატორიების 2 ჯგუფის მიერ შეუფერხებლად გამოყენების შესახებ დასკვნა, იქნა თუ არა გადამოწმებული მონიტორინგის ფარგლებში, თუ მხოლოდ კოლეჯის მიერ დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე მოხდა შეფასება. .
ექსპერტმა უპასუხა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სასწავლო გეგმა და სასწავლო ცხრილები, რის საფუძველზეც მოხდა ლაბორატორიის გამტარიანობის გადამოწმება და დაადასტურა, რომ აღნიშნული დასკვნა გამყარებულია მტკიცებულებებით.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „მოდუსში“ (ს/კ: 216350829) „მებაღეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

მეოთხე საკითხის განხილვის დასრულების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს წევრების და ცენტრის წინაშე, რომ დღის წერიგით გათვალისწინებული მე-5 და მე-6 საკითხები (5. შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა; 6. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა) გადადებულიყო შემდეგი სხდომისთვის, ვინაიდან საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო მათი განხილვისათვის.

თავმჯდომარის მოსაზრებას დაეთანხმნენ საბჭოს წარმომადგენლებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხისა და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვის გადადება შემდეგი სხდომისთვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯის „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ საკითხი და შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონის“ მონიტორინგის შესახებ საკითხი განხილული იქნას პოფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:25 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჩაგელიშვილი მარიამ